

ენათმეცნიერება Linguistic

სიტყვა „გულს“ შემცველ სომატურ-იდიომატურ ფრაზეოლოგიზმთა
ზოგიერთი ლექსიკურ-სტილისტური თავისებურება ქართულში

მანანა კაკაურიძე

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმიდელის გორის სკოლა-გიმნაზია
e-mail: kakauridzemanana@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.06>

SJIF 2024: 8.268

იდიომატური ფრაზეოლოგიზმები ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. იგი ზრდის მხატვრულ-ესთეტიკური ზემოქმედების ძალას და სიცოცხლისუნარიანობას მატებს ენას. მათში მკვეთრად ჩანს ადამიანთა ფანტაზია, ემოცია, კულტურა, სულიერება, სამყაროს ორიგინალური ხედვა და აღქმა. ყოველივე ამის გამო ისინი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენენ ენაში.

ჩვენი ინტერესის საგანია სომატიზმების შემცველი გრძნობა-ემოციების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა შორის განსაკუთრებით პროდუქტიულია „გულ“ ფუძის შემცველი იდიომატური ფრაზეოლოგიზმები. მათ გამაერთიანებელ, საერთო ნიშანთან ერთად ერთმანეთისაგან არაერთი განმასხვავებელი თავისებურება აღმოაჩნდათ: ამ ჯგუფში შემავალ იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებს შეიძლება უკავშირდებოდეს ერთმანეთის საპირისპირო კონოტაციის გამოხატვა. მათი ერთი წყება როგორც ფორმოზრივად, ასევე შინაარსობრივად უცვლელად არსებობს საუკუნეთა განმავლობაში, ნაწილი კი აზრობრივად გაუფერულდა და საერთოდ აღარ იხმარება. „გულ“ ფუძის შემცველმა ზოგიერთმა ფრაზეოლოგიზმმა ხშირად ხმარების გამო უწინდელი ექსპრესიულობა დაკარგა. მრავალფეროვან სურათს გვაძლევს აღნიშნული ჯგუფის ფრაზეოლოგიზმები იმ თვალსაზრისით, რომ ზოგიერთ მათგანში ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულებია შემონახული, ზოგიერთში უცხოური წარმომავლობის სიტყვებს ვხვდებით, ზოგი კი ასემანტიკურ ლექსემებს შეიცავს. ამავე ჯგუფის

ფრაზეოლოგიზმებში განსხვავებული ლიტერატურულ-მხატვრული ხერხებია გამოყენებული. მაგალითად: ჰიპერბოლიზაცია, გრადაცია, ტავტოლოგია, ოქსიმორონი, რაც, შესაბამისად, სხვადასხვა ლიტერატურულ რემინისცენციას იწვევს, ზოგიერთ მათგანში კი რელიგიურ ტერმინთა გამოყენება თუ მეტაფორული ხატოვანება ხდება მათი გამომსახველობითი გამძაფრების განმაპირობებელი.

ენის ბუნებას, გარკვეულწილად, ერის მსოფლალქმა განსაზღვრავს. იდიომები და ფრაზეოლოგიზმები კი ადამიანთა მიერ აღქმულ სამყაროს აღწერს ხატოვნად, ამიტომაც მათში აღბეჭდილია ჩვენი ენის შინაგანი სიმდიდრე და შთამბეჭდავდაა გამოვლენილი მისი შესაძლებლობები. მათი მონაწილეობით ხდება მეტყველება კიდევ უფრო საინტერესო, ტევადი და დახვეწილი.

ვფიქრობთ, რომ სომატურ ფრაზეოლოგიზმთა შემდგომი კვლევა კიდევ მეტ თავისებურებას გამოავლენს.

საკვანძო სიტყვები: ლექსემა „გული“, იდიომატური ფრაზეოლოგიზმები, ლექსიკური მარაგი.

ცნობილია, რომ ენის განვითარება, უპირველეს ყოვლისა, მის ლექსიკაში აისახება. ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად მიჩნეულია იდიომები, ფრაზეოლოგიზმები, ე.წ. ფრთოსანი სიტყვები, ფიგურალური გამოთქმები, ხატოვანი სიტყვა-თქმები. ყველა მათგანი ლექსიკის ორგანული ნაწილია და გარკვეული თვალსაზრისით ერთი ტერმინით - იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ.

იდიომატურ ფრაზეოლოგიზმში ასახულია ამა თუ იმ მოვლენის თავისებურად აღქმა და შეფასება. მხატვრული თუ სოციალურ-ფილოსოფიური შეხედულებების ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემა ზრდის მხატვრული ოსტატობის ხარისხს, ესთეტიკური ზემოქმედების ძალასა და სიცოცხლის უნარიანობას მატებს ენას. ამიტომაც არის იდიომატური ფრაზეოლოგია ენის სიმდიდრისა და მხატვრული სიტყვათშემოქმედების ერთ-ერთი საფუძველი.

გამოხატვის თვალსაზრისით, ფორმოზრივად იდიომატური ფრაზეოლოგიზმი შესიტყვებას ემთხვევა, შინაარსის პლანში-სიტყვას, მაგრამ იგი ენაში ამა თუ იმ ცნების ერთადერთი გამომხატველი არ არის, არამედ სხვა სიტყვის სინონიმია და მას ხატოვნად, მეტი ემოციურ-ექსპრესიული დატვირთვით გადმოგვცემს. მისი ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ იდიომატურ ფრაზეოლოგიური ნომინაცია, ლექსიკურისგან განსხვავებით, ობიექტური სინამდვილის მხოლოდ გარკვეულ სფეროს ასახავს და მასში უფრო მკვეთრად ჩანს ადამიანთა ფანტაზია, ემოცია, კულტურა, სულიერება თუ სამყაროს ორიგინალური ხედვა. მაშასადამე,

იდეომატურ ფრაზეოლოგიზმებში ენის განსაკუთრებული შესაძლებლობები აისახება და ისინი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენენ.

იდეომატური ფრაზეოლოგიზმები მრავალგვარი სემანტიკური შინაარსისაა ქართულში. ამჯერად, ჩვენი ინტერესის საგანია ადამიანთა გრძნობების, ემოციების, განცდების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმების კვლევა. უმეტესად სწორედ ისინი ასახავენ ზედმიწევნით ადამიანის სულიერ მდგომარეობას, წარმოდგენებს, დადებით თუ უარყოფით ემოციებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სიბრძნეს.

გრძნობა-განწყობის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ხშირად შეიცავს სომატიზმებს. სომატური იდეომატური ფრაზეოლოგიზმები განსაკუთრებული ექსპრესიულობით გამოირჩევა და მათი მოხმარების არეალი საკმაოდ ფართოა: გამოიყენებიან როგორც საყოფაცხოვრებო-სასაუბრო ლექსიკაში, ასევე სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. მათ შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს „გულ“, „თვალ“, „თავ“, „ხელ“.. ფუძეების შემცველი იდეომატური ფრაზეოლოგიზმები. მათთან ამ სიტყვათა დაკავშირება გასაგებია, რამდენადაც, ამა თუ იმ გრძნობა-ემოციის (სიყვარული, სიძულვილი, სილამაზე, დამცირება, მწუხარება, შეურაცხყოფა...) გამოხატვა, ამ ენაზე მოუხარბი ადამიანების მენტალური ფენომენიდან გამომდინარე, სწორედ ამ სიტყვებს უკავშირდება, თუმცა ფრაზეოლოგიზმში მათ დროთა განმავლობაში სიმბოლური დატვირთვა შეიძინეს.

საინტერესო სურათს გვაძლევს ამ თვალსაზრისით „გულ“ ფუძის შემცველ ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკური ჯგუფის განხილვა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სომატურ-იდეომატურ ფრაზეოლოგიზმთა სიმრავლეში მრავალრიცხოვნებით სწორედ ის ჯგუფი გამოირჩევა, რომელშიც „გულ“ ფუძე ერთ-ერთი პროდუქტიული კომპონენტია.

როგორც ჩანს, ყველანაირი ადამიანური განცდა, ქართულ მენტალობაში გულიდან გამომავალია და ამიტომაც ეს გრძნობები ქართველ ხალხს სიტყვიერადაც გულთან დაუკავშირებია.

მიუხედავად იმისა, რომ სომატურ-იდეომატურ ფრაზეოლოგიზმებს აერთიანებს ის საერთო ნიშანი, რომ ყველა მათგანში გამოყენებულია ადამიანის სხეულის ამა თუ იმ ნაწილის გამომხატველი ლექსიკური ერთეული, მათი განხილვის შედეგად, თვით ამ მრავალრიცხოვანი ჯგუფის შიგნით არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი თავისებურება გამოიკვეთა.

ლექსიკური ერთეულის -„გულის“ შემცველ იდეომატურ ფრაზეოლოგიზმებს შეიძლება უკავშირდებოდეს ერთმანეთის საპირისპირო - როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციის გამოხატვა. შესაბამისი მაგალითები, როგორც ერთი, ისე მეორე მხრივ, ბევრი შეგვიძლია დავასახელოთ, **დადებითი კონოტაციით: გულზე ვარდის გადაფენა** -„ეთერსაც იმის

დანახვაზე გულს ვარდი გადაეფინა და ისეთის სიამოვნებით მიიღო ახალგაზრდა, თითქო სწორედ იმას ელოდაო“ [ონიანი, 1966:28]; **გულზე ხატად დასვენება**-„საქართველოს ისტორია სახარებად გაიხადა, „სამშობლოს განთავისუფლების“ კულტი **გულზე ხატად დაისვენა**“ [ონიანი, 1966:30]; **გულიდან ლოდის აცლა** - „აბა, რომ იტყვიან კარგად საქმის მოყვანასა, ამას იტყვიან. იგ, მოსევ, ძლივს **გულიდამ ლოდი არ აიცალე?** არც ჩხუბი, არც დავიდარაბა“ [ონიანი, 1966:34]; **გულის ამღერება** - „ამ მოწერილობამ **გული აუღერა** ხუცესს“ [ონიანი, 1966:35]; **გულში უზის**-„მაგრამ როგორ ჩამოაცალოს, რომ სოვეტნიკს ისე მჭიდროდ **გულში უზის?** უამისოდ უბრალო ქალაქსაც ხელს არ აწერს?“ [ონიანი, 1966:51].

უარყოფითი კონოტაციით: გულზე ბინდის დაცემა-„მათ ვერა მარგეს, მე გულსა ბინდი დამეცა ბნელისა“. [სახოკია,1970:106]; **გულში ეშმაკის შეშვება**-„რაკი ერთი **გულში ეშმაკი შეუშვეს**, მერე სულ იმას ცდილობდნენ (რძლები), როგორმე ძმების პირში ჩაეგდოთ ქვრივი“ [სახოკია,1970:121]; **გულზე ლოდის დაწოლა**-„მას აქეთ დააწვა რაღაც **ლოდი გულზედ** და ვეღარ აუხსნია“ [ონიანი,1966:29]; **გულიდან ამოგლეჯა**-„განშორდა მაყვალას დარწმუნებული, რომ **გულიდან ამოგლეჯდა** ამ ქალის სახეს“ [ონიანი,1966:33]; **გულის ტკენა**-„დიდ დამნაშავედა ვგრძნობ ჩემ თავს, რომ გუშინ ისე წინდაუხედავად **გატკინეთ გული**“ [ონიანი,1966:46].

საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდა ქართველი ხალხი საკუთარი ხატოვანი აზროვნების გამოხატულებას-იდიომატურ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს, რომლებიც ზეპირი გზით გადაეცემოდა თაობიდან თაობებს, ბევრი მათგანი საუკუნეებს ითვლის, ამიტომაც მათი განხილვა სხვადასხვა სურათს წარმოაჩენს.

ფრაზეოლოგიზმთა ერთი წყება უცვლელი ფორმით (როგორც ფორმოზრივად, ასევე შინაარსობრივად) განაგრძობს არსებობას: **გულის მოფხანა** -„მან (რამაზის კაცმა) მითხრა მოციქულობა **გულისა მოსაფხანია**“ [სახოკია,1970:115]; **გულზენისლის შემოწოლა** -„დაუკარ, ჩემო ჩონგურო...**გულს ნისლი შემომწოლა**“ [სახოკია,1970:107]; **გულის გადაშლა** -„ვერ ხერხდებოდა განცალკევება, **გულის გადაშლა**: ჩვეულება არ იძლეოდა ამის ნებას“. [სახოკია,1970:111]; **გულის მობრუნება ვისკენმე**-„რა წამსაც დავინახე, ღმერთია მოწამე, **გული შენკენ მომიბრუნდა**“ [სახოკია,1970:114].

ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმი დროთა განმავლობაში აზრობრივად გაუფერულდა, ისინი შთანთქა თანამედროვეობამ და საერთოდ აღარ იხმარება: **გულის კოვზში მოთავსება**-„კურკის ოდენა გავხდი **გულის კოვზში მოთავსდებოდი**“ [ამირეჯიბი, 1979:524]; **გულზე ქონის მოკვრა**-„გაირმებული ვირი დასეირნიბდა მთასა და ბარს თავისუფლად. ვირმა **გულზე ქონი მოიკრა**“ [სახოკია,1970:107]; **გულზე ლურსმნად დგომა** -„ანტონი ძალიან სდევნიდა ილიას, მისი სახელი **გულზე ადგა ლურსმნად**“ [სახოკია,1970:106]; **გულიდან კლიტე აჰგლიჯეს**-„ვერ დაასრულა

(გიორგიმ) სათქმელი, სიტყვა შეეკრა, თითქო ელდა ეცაო, რომ **გულიდამ კლიტე აჰგლიჯეს, კარი გაულეს და შიგ ჩაჰხედეს**“ [სახოკია,1970:109]; **გული ბუდეს დაიდვა**-„სხვაგან, თუ ასაფრენზე იყო ხოლმე გარსევანი ცოტახნობით და ხელის დაქნევას ელოდებოდა, N -ის ნაწილში **გული ბუდეს დაიდვა**“ [სახოკია,1970:108]; **გულის ბუხრის ამოყრა**-„კვირა დღე იყო და უღლიდან გამოშვებული ხალხი ენას ანძრევდა, ქარს იღებდა, **გულის ბუხარს ყრილობდა**“ [სახოკია,1970:110]; **გული ხელთ არა აქვს**-„არ ვიცი, რა ვქნა? **გული ხელთ აღარა მაქვს** იმის მაყურებელსა“ [ონიანი, 1966:32]; **გულში ტყვიის ჩადუღება**-„ქურდობაზე დაიჭირეს, მაგრამ, რომ იტყვიან, **გულში ტყვია ჩაიდულაო**, სწორედ ისე გაკერპდა და მაინც არ გატყდა“ [ონიანი,1966:51]; **გულის ჭუჭყის მობანა**-„შემდეგ ერთმანეთს გადაეხვივნენ, **გულის ჭუჭყი მობანეს... და წასასვლელად შეემზადნენ**“ [ონიანი, 1966:49].

გვხვდება ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ფორმოზრივად ზუსტად ემთხვევა თავისუფალ შესიტყვებას, მაგრამ მოხდა მისი სემანტიკურად გადააზრება: **გულს დამმარავს**-ეს ფრაზა შეიძლება გამოვიყენოთ სამედიცინო გაგებით, რომელიც ადამიანის განსაკუთრებულ მდგომარეობას გამოხატავს. ხოლო გადატანითი მნიშვნელობით, როგორც ფრაზეოლოგიზმი, გამოიყენება ერთგვარი ირონიით, დაცინვით ისეთ ადამიანზე, ვინც მედიდურობს და იწუნებს ისეთ რაიმეს, რისი დაწუნების საბუთი არ აქვს: „ამისი სარგებელიც ორი წლისაა, აბაზობაზედ, - ორასორმოცი თუმანი... ეს შვიდას ორმოცი თუმანი...არც ეს **დასმარავს გულს!**..“ [სახოკია,1970:119]; **გულზე დანის დაცემა** -„და შეიქნები **დამცემი** ჩემს ტანჯულს **გულზე დანისა?!**“ [სახოკია,1970:106]; **გულზე ხელის დაკრეფა, გულხელის დაკრეფა**-ეს ფრაზა გავრცელებული სიმბოლოა მიცვალებულისა, რომელიც გულხელდაკრეფილი ასვენია. სწორედ მას ამსგავსებს ქართველი ამ ფრაზეოლოგიზმით უსაქმურ, უმოქმედოდ მყოფ ადამიანს: „არც ქართველობამ **დაიკრიფა გულზედ ხელი**“ [სახოკია,1970:108]; **გულზე ვარდის დაფენა**-„ეთერსაც იმის (დარისპანის) დანახვაზე **გულს ვარდი გადაეფინა**“ [სახოკია, 1970:106].

ზოგიერთ ფრაზეოლოგიზმს, ხშირად ხმარების გამო, ერთგვარად დაეკარგა ექსპრესიულობა: **გულის მოკვლა**-„მაშინ, მეფეო, რავდენტ კაცთ მართალთ **მოუკლან გულნი** ტანჯვათ იღუმალთ“ [სახოკია,1970:114]; **გულის გასივება** -„შენმა დაუსრულებელმა საყვედურებმა **გული გამისივა**“ [სახოკია,1970:111]; **გულის აყრა**-„როგორ გულცივობს? ნუთუ **გული აიყარა** თავის საყვარელ შვილზე?“ [სახოკია,1970:110]; **გულის გაქცავებ**-„ახლა **გული გამიქცავდა** და დამიანებიც შემმაგდა“ [ონიანი,1966:40].

ენის ლექსიკური შემადგენლობის ცვალებადობის და ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ, ენის ლექსიკურ ფონდს აკლდება ის სიტყვები, რომელთა შესაბამისი საგნები და მოვლენები ისტორიის კუთვნილება გახდა. საინტერესოა, რომ არაერთი ძველი ქართული

ლექსიკური ერთეული სწორედ ფრაზეოლოგიზმებმა შემოგვინახა და მხოლოდ მათ კომპონენტებადღა გვხვდებიან ისინი: **გულის დამჯიღვა** - „შორიდან ბარემღაც გულს იმჯიღავენ, მუქარას მითვლიან, კბილებს მიღრჭენენ, მაგრამ რას გახდებოდნენ?!“ [სახოკია,1970:113]; **გული თავის ალაგას აღარ მიდგება**-„შენ არ იცი და მე კი, სწორედ გითხრა, ჩემო თითიავ, გული თავის ალაგას აღარ მიდგება სიხარულისაგან, უთხრა თითიას თამარმა“ [სახოკია,1970:109]; **გულის გალახვრა**-„ელახვრებოდა გული (ამზაილს). როგორღა უნდა ეცხოვრა განშორებულს, ან რისთვის?!“ [სახოკია, 1970:111]; **გულის ამოსკვნა**-„(გიორგიმ) მაშინ კი მწვავედ იგრძნო სრული მარტოობა და გული ამოესკვნა, მთელის ტანით ქვითინად იქცა“ [ონიანი, 1966:35]; **გული ეთანაღრება**-„როცა ჩემი ძმა წამოდგა და შენ ჯიბეების ჭრა დაგიწყო, გული დამეთანაღრა, ავიმრიზე, თმა ყალყხედ შემიდგა, მაგრამ ხმა არ გავე, არ დავუშალე“ [ონიანი, 1966:31]; **გულზე სისხლის მონთხევა**-„ერისთავს გულზე სისხლი მოენთხა და ჰკითხა: - მიცნობ, მე ვინცა ვარ?“ [ონიანი,1966:29]; **გულის აცრუება**-„პატარები ყურს აღარ უგდებენ, გული აუცრუვდათ იმათხედ, მაგრამ მაგათაც ჰქონდათ თავისი დრო“[ონიანი,1966:36]; **გული ემუნათება**-„...მაგრამ ხალხს რომ ცოტა გული ემუნათება, ამას ვერ დაგიძალავ“ [ონიანი,1966:31]; **გულში საკირე უნთია**-„რა საკირე ენთოთ გულში და რა ცეცხლმა გაიარა!“ [ონიანი,1966:51]; **გულის ატოკება**-„აბა ვინ იფიქრებდა, რომ ეს დედაკაცი ქრისტინე იყო,... რომელიც ერთ დროს ისე უტოკებდა გულს და ანატრებდა თავს ნიგვზიანის ყმაწვილკაცობას“ [ონიანი, 1966:35]; **გულს ესალბუნება (რამე)**-„როდესაც მოახსენეს, რომ ნადიმად არც თამარი მობრძანდებო, გულს ესალბუნა“ [ონიანი, 1966:49]; **გულის შეზარვა**-„ძულან რა ხმა მოისმა ტამარში ისეთი, რომ გულნი შეზარა?“ [ონიანი, 1966:47]; **გულს მოფონება**-„ამის წინ მაინც გადმოვშლი დიდი ხნის შეგუბებულ ნაღველს და ცოტათი მაინც გულს მოვიფონებ“ [ონიანი, 1966:50]; **გულის ჩათხრობა**-„ნოშრევანის დაღვრემილმა სახემ და სიჩუმემ ხომ მთლად გააცოფა ბატონი, ნეტა თუ რამ ჩაუთხრო გული ამ ხალისიან ყმაწვილს, რამ ჩააჩუმა?“ [ონიანი, 1966:48].

ყურადღებას იმსახურებს იდიომატურ ფრაზეოლოგიზმთა ის ჯგუფი, რომელიც შეიცვას უცხოური წარმომავლობის სიტყვებს ან ასემანტიკურ ლექსემებს, რომელთა მნიშვნელობაც, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულისა, სინქრონიში გაუგებარია და არც სათანადო ლექსიკონებშია დამოწმებული: **გულის მურაზი** - „ეს შენს გულის მურაზს გაუმარჯოს!“ [ონიანი, 1966:45]; **გულბაათი**-„მომიბრუნდა ჩვენი ლავრენტი არდაზიანი და მეუბნება: კაცო, რა შენი საქმეა ქართველობა, მერე მაგასთან, ევროპიელთანო? არა, რა გულბაათი შენა ხარ, რომ ალავერდს მიდიხარო?“[სახოკია,1970:105]; **გულხმიერი**-„პირველ ამაოდ მიდიოდეს მგზავრთა რათმე მაგიერად, მათ შიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დახვდეს გულხმიერად“ [სახოკია, 1970:124]; **გულმა**

რეჩხი უყო–„აღშობაია მიუხვდა ტატამ მარშანას, **გულმა რეჩხი უყო**, მაგრამ ამის მიუხედავად კვლავინდებურის ქალაჩუნობით კვლავ შესთავაზა თამადობა“ [ონიანი, 1966:49].

ხშირად იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებში ემოციურობის მოდუსისა და ექსპრესიულობის გამოხატვის ეფექტურ საშუალებად გვევლინება სხვადასხვა მხატვრული ხერხის გამოყენება. მაგალითად, ჰიპერბოლიზაცია, როდესაც ესა თუ ის განცდა განსხვავებული გრადაციითაა გამოხატული: **გულზე კბენა**–„მაშინ მე ეს არ მესმოდა, რასაკვირველია, მაგრამ **გულზე** კი რაღაც უნებურად **მკბენდა** და მეჯავრებოდა „ქორობია“.[ონიანი, 1966:29]; **გულზე გველის კბენა**–„იგი თანდათან ჩამოშორდა მეუღლეს, სიყვარული გახუნდა მათ შორის და მიჰკნა, დედოფალს **გველმა უკბინა გულზე**“ [ონიანი, 1966:28]; **გულზე ლოდის დაწოლა**–„მას აქეთ დააწვა რაღაც **ლოდი გულზედ** და ვეღარ აუხსნია“ [ონიანი, 1966:29]; **გულზე მძიმე ლოდის დაწოლა** - „აშკარად ჩანდა, რომ (მზადვეს) რაღაცა **მძიმე ლოდი აწვა გულზე**“ [ონიანი, 1966:29]; **გულში ცეცხლის ტრიალი**– „კარგი, ბებერო, დაწყნარდი, ჭკვიანი ადამიანი ხარ და ვერ მიმხვდარხარ, რა **ცეცხლი ტრიალებს** ჩემ **გულში**“ [ონიანი, 1966:54]; **გულში ჯოჯოხეთის ცეცხლის ტრიალი** -„ადამიანის სახე აღარ ედო, თვალეები დაეხუჭა, თავი ჩაექინდრა და **გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი უტრიალებდა**“ [ონიანი, 1966:54].

გარკვეულ შემთხვევებში ექსპრესიის გამამლიერებლად გვევლინება ტავტოლოგიაც, რაც უთუოდ ამდაფრებს შთაბეჭდილებას: **გულის დადება გულის ადგილას**–„ესტატეს ოჯახმა **გული გულის ალაგას დაიდო...**“ [სახოკია, 1970:112]; **გულის გული**–„აზომ რომე გაგათრივე შენ, ვაზირი **გულის გული**“ [სახოკია, 1970:112]; **საგულისგულო**–„**საგულისგულო** უნდა ჩალაგდეს (მზითვად!)“ [სახოკია, 1970:531]; **გული საგულეს აქვს**–„ამგვარი სიტყვებით დაიმედებულს **გული საგულეს მქონდა** და უშიშარიც ვიყავი“ [ონიანი, 1966:32].

მოულოდნელი სიტყვათშეთანხმება - ოქსიმორონი ხელს უწყობს ფრაზის იდიომატურ ფრაზეოლოგიზმად ქცევას და ზრდის ზემოქმედების ეფექტს მკითხველსა თუ მსმენელზე. ამის მაგალითებიც მრავლად მოიპოვება: **გულის მოფხანა** –„მან (რამაზის კაცმა) მითხრა მოციქულობა **გულისა მოსაფხანია**“ [სახოკია, 1970:115]; **გულიდან ამოხოცვა**–„არ შემიძლიან ერთის მათგანის განწირვა, იმათი **გულიდამ ამოხოცვა**“ [სახოკია, 1970:109]; **გულის დასეტყვა**–„ჰიპოხონდრიით სნეული მამის პატრონობამ და დარდმა, ახალგაზრდა თარაშის **გულიც დასეტყვა**“ [ონიანი, 1966:42]; **გულის დაკოდვა** –„ლამაზო პირიმზევე, როგორ შორსა ხარ ჩემზედ, მაგრამ მაინც როგორ **მიკოდავ გულსა!**“ [ონიანი, 1966:41]; **გულის ხმა** –„ამ შავი მტრედების ღულუნით ამცნობდა სამყაროს თავის **გულის ხმას** ზევსი“ [ონიანი, 1966:49]; **გულის გაპარვა**–„ეს სამწუხარო ამბავი რომ მითხრეს, **გული გამეპარა**“ [ონიანი, 1966:39]; **გულის გაკეთება**–„ეს ორი ოჯახი იყო, რომ მამხნევებდა, ხელს მიწყობდა და **გულს მიკეთებდა**“ [ონიანი, 1966:38]; **გულის**

კოვზი-„კურკის ოდენა გავხდი გულის კოვზში მოვთავსდებოდი“ [ამირეჯიბი,1979:524]; გულის გამონასკვა-„(მახარეს) გული გამოენასკვა და თვალთ წამოჟონა“ [ონიანი,1966:38]; გულის გადაშლა-„არ ვიცი რად და ჩემი გული კი იწევდა, რომ შენ წინ გადაშლილიყო“ [ონიანი, 1966:37].

იშვიათად გვხვდება იდიომატური ფრაზეოლოგიზმი ორმაგი სომატიზმით წარმოდგენილი. ასეთი ფრაზეოლოგიზმები იმითაცაა სხვათაგან გამორჩეული, რომ ზოგჯერ სომატური კომპონენტების შესაერთებლად გამოყენებულია კავშირი, რომელიც ფრაზეოლოგიზმში ყველა სხვა მეტყველების ნაწილთან შედარებით იშვიათად გვხვდება: **თვალისა და გულის თან გაყოლა**-„წავიდა მეფე, თან გაჰყვა მასპინძლების თვალი და გული“ [სახოკია, 1970:258]; **„ნეტავი ვის ქონდა რკინის გული და ორი თავი?“** [ამირეჯიბი, 1979:388]; **გული ყელში სწრია**-„შეჰხედეთ უხეირო მოხელესა ან გზირს, როგორ გული ყელში ჰწრიათ და დიდობენ“ [ონიანი, 1966:32]; **გული ხელთ არა აქვს**-„არ ვიცი რა ვქნა? გული ხელთ აღარა მაქვს იმის მაყურებელსა“ [ონიანი, 1966:32]; **გულში ჩაბრუნება თვალისა**-„...ისეთი რამ არ მოუვლინოს, რომ კაცს თვალეი ძალაუნებურად გულში არ ჩაუბრუნოს თავის-თავის განსაკითხავად“ [სახოკია, 1970:122]; **გულში ხელის ჩაკვრა**-„ადგა და ჩუმად გავიდა (ქისტი), თითზე იკბინა მწარედა, სამჯერ ჩაიკრა გულს ხელი, როცა გავიდა გარედა“ [სახოკია,1970:123]; **გულმა ყბა გააღო**-„გაუხარდა ნატრითვალას, სიხარულით გულმა ყბა გააღო“ [სახოკია, 1970:118].

ასევე იშვიათად გვხვდება ფრაზეოლოგიზმში ამა თუ იმ ნაწილაკის გამოყენება, რაც მნიშვნელობას უცვლის მას: **გული ხელთ არა აქვს**-„არ ვიცი, რა ვქნა? გული ხელთ აღარა მაქვს იმის მაყურებელსა“ [ონიანი, 1966:32]; **გულზე არ ახატია**-„თავადიშვილს მე არასოდეს გულზე არ ვეხატე, მამის შვილი არაა?“ [ონიანი, 1966:28].

არის შემთხვევები, როცა ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობის შემცვლელად ზმნისწინი გვევლინება. როგორც ჩანს, ზმნისწინს ეს თვისება - მნიშვნელობა შეუცვალოს ზმნას,- არც ფრაზეოლოგიზმში აქვს დაკარგული. უფრო მეტიც, მნიშვნელობა მხოლოდ ზმნას კი არა, მთელ ფრაზეოლოგიზმს ეცვლება: **გულის წასვლა**-„სოსიკა-ბიჭს გული წაუვიდა და გამტკნარებული გაიშხლართა დაბლა“ [ონიანი, 1966:48]; **გულის მოსვლა**-„მართალია, ეწყინება. გული მოუვა. აი, მე ხომ კაცი ვარ, მეც გული მომივიდოდა“ [ონიანი,1966:44]; **გული შესტკივა**-„ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული?“ [ონიანი, 1966:32]; **გულის ტკენა**-„რა ჰგავა თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკინოს“ [სახოკია, 1970:115].

ყველა ზემოთ ნახსენები დეტალი მეტი განცდით მუხტავს ფრაზეოლოგიზმებს და ენის კოლორიტს მძაფრად შეგვაგრძნობინებს, ამითაა მნიშვნელოვანი ყურადღების გამახვილება მათზე.

ფრაზეოლოგიზმებში მკაფიოდ ჩანს ბიბლიურ თხზულებათა ანარეკლი. ეს ცალკე მსჯელობის თემაა. აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ რელიგიურ ტერმინთა გამოყენება სომატურ ფრაზეოლოგიზმებს განსაკუთრებულ ექსპრესიულობას სძენს: **გულში ეშმაკის შეშვება**- „რაკი ერთი **გულში ეშმაკი შეუშვეს**, მერე სულ იმას ცდილობდნენ, როგორმე ძმების პირში ჩაეგდოთ ქვრივი“ [სახოკია, 1970:121]; **გულზე ხატის დასვენება**-„საქართველოს ისტორია სახარებად გაიხადა, „სამშობლოს განთავისუფლების“ კულტი **გულზე ხატად დაისვენა**“ [ონიანი, 1966:30]; **გულში ჯოჯოხეთის ცეცხლის ტრიალი**-„ადამიანის სახე აღარ ედო, თვალები დაეხუჭა, თავი ჩაექინდრა და **გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი უტრიალებდა**“ [ონიანი, 1966:54].

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებს შორის შეიძლება გამოვყოთ ერთმანეთისგან სტილისტურად განსხვავებული ველები. შეიძლება გამოვყოთ წიგნიერი სტილის და სასაუბრო - ყოფითი სტილის ფრაზეოლოგიზმები. როგორც ერთ, ისე მეორე სტილის ფრაზეოლოგიზმებში ისინი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კონოტაციის შლეიფით წარმოდგენილი შეიძლება შეგვხვდეს, წიგნიერი სტილის ფრაზეოლოგიზმები:

გულზე ხატად დასვენება-„საქართველოს ისტორია სახარებად გაიხადა, „სამშობლოს განთავისუფლების“ კულტი **გულზე ხატად დაისვენა**“ [ონიანი, 1966:30]; **გულზე ვარდის დასვენება**-„ეთერსაც იმის დანახვაზე **გულს ვარდი** გადაეფინა და ისეთის სიამოვნებით მიიღო ახალგაზრდა, თითქო სწორედ იმას ელოდაო“ [ონიანი, 1966:28]; **გულში ნათელის ჩადგომა**-„ქორაფი იცნო ისევ მტრედმა... მტრედს **გულში ნათელი ჩაუდგა**“ [ონიანი, 1966:51]; **გულზე გველმა უკბინა**-„დედოფალს **გველმა უკბინა გულზე**“ [ონიანი, 1966:28]; **გულზე ლოდის დაწოლა**-„მას აქეთ **დააწვა** რაღაც **ლოდი გულზედ** და ვეღარ აუხსნია“ [ონიანი, 1966:29]; **გულში ჩამარხვა**-„აქ უსიტყვოდ უნდა იტანჯო, რაც დაგემართება, **გულში უნდა ჩამარხო**“ [ონიანი, 1966:52].

სასაუბრო - ყოფითი სტილის ფრაზეოლოგიზმები: **გულში ჩაკენჭება**-„...ლადოს სიტყვები მას სულის სიღრმეში ჩასწვდა და თუმცა ზოგი რამ ვერც კი გაიგო, მაგრამ არსებითს ჩახვდა და **გულში ჩაკენჭა**“ [ონიანი, 1966:52]; **გულზე ჩქმეტა**-„...ეჭვებმა ძალიან დამაბნია, ბევრს უმართებულოდაც ვფიქრობ, ალბათ, მაგრამ დასწყევლოს ღმერთმა, რაღაც **გულს** მაინც **ჩქმეტავს**“ [ონიანი, 1966:52]; **გულში ჩაჭედვა**-„...ვინ იქნება ისეთი უბირი, ბრიყვი და გულწამხდარი, რომ სიყვარულითა და სიხარულით ხელი არ მიაშველოს ამის მთქმელსა და თქმული მისი არ **ჩაიჭედოს გულში**“ [ონიანი, 1966:53]; **გულიდან ამოფხეკვა**-„ამოფხიკე **გულიდან** მაგ აზრი და ვიცხოვროთ, როგორც აქამდე ვყოფილვართ“ [ონიანი, 1966:33]; **გულის მოლოკვა**-„...ზაალს ცალკე ვნახავ, **გულს მოვულოკავ** და საკალმასოდ უწინდელივით კაცს გამოვაცოლებინებ“ [ონიანი, 1966:44]; **გულის გაწყალება**-„ეს სიმშვიდე, ეს გულში შეკავებული,

გამოუჩენებელი მწუხარება ნინოსი უფრო **გულს უწყალებდა** სონიას“ [ონიანი, 1966:40]; **გულს ასკდება**-„...ვარ ასე და ვასკდება ჩემს **გულს**... უნდა ვიმწუხრო“ [ონიანი, 1966:49].

შეიძლება ცალკე გამოვეყოთ ერთგვარი ირონიული სტილის მქონე ფრაზეოლოგიზმები:

გული შეუგორდა -„თეკლე ვნახე თუ არა, მასზე **გული შემიგორდა**“ [სახოკია,1970:118]; **გულის ათამაშება**-„ბევრს **აუთამაშა გული** მთავრის ასულის აღთქმამ“ [ონიანი,1966:34]; **გულზე გახეთქვა**-„...მოციქულებს უგზავნის და აბრაზებს, **გულზე ხეთქავს** თავის სისხლხორცს“ [ონიანი,1966:28]; **გულის აღრენა**-„ოქრუას სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლება რომ შეიტყო ბაგრატამ, მეტად **აუღრინდა გული**“ [ონიანი,1966:36]; **გულის აფანცქალება**-„არჩილმა აცადა; **გული კი აუფანცქალდა**, ვინ იცის, რა უფრო ენატრებოდა“ [ონიანი, 1966:35]; **გულის აცუნცრუკება**-„ოცი წლის ჭაბუკი ხომ არა ვარ, სიყვარულით **გული ამიცუნცრუკდეს!**“ [ონიანი, 1966:36].

იდიომატური ფრაზეოლოგიზმის შინაგანი ექსპრესიულობა მასში არსებული მეტაფორული ხატოვანებით არის განპირობებული. ამ შემთხვევაში, არსებული სინამდვილე ხალხის ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზეა შეფასებული და გააზრებული. ამ თვალსაზრისით ბევრი ფრაზეოლოგიზმი მეტაფორადაა ნაქცევი. ამის მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ:

გულზე ნისლის შემოწოლა-„დაუკარ, ჩემო ჩონგურო... **გულს ნისლი შამომწოლია**“ [სახოკია,1970:107]; **გულიდან ლოდის აცლა (ან მოშორება)**-„იფ, მოსევ, ძლივს **გულიდამ ლოდი არ აიცალე!**“ [სახოკია,1970:109]; **გულზე ქონის მოკვრა**-„გაირმებული ვირი დასეირნობდა მთასა და ბარს თავისუფლად. ვირმა **გულზე ქონიმოკრა**“ [სახოკია,1970:107]; **გულის გადმოვარდნა ბუდიდან**-„...იმათი **გულები** ერთმანეთის სიახლოვის გამო **ბუდიდან აპირებდნენ გადმოვარდნას**“ [სახოკია,1970:111]; **გულზე ცეცხლის მოკიდება**-„ვასილი რომ მოიგონებდა...თუ რანაირად მის მამა-პაპას ჩამოართვეს მამულები და სხვას მიჰკერძეს, **ცეცხლი მოკიდებოდა გულზე**“ [სახოკია,1970:107]; **გულის ფიცარზე დაწერა**-„(ის) შენს სიკეთეს თავის **გულის ფიცარზედა** სწერს“ [სახოკია,1970:115]; **გული ბუდეს დაიდვა**-„სხვაგან, თუ ასაფრენზე იყო ხოლმე გარსევანი ცოტახნობით და ხელის დაქნევას ელოდებოდა, N-ის ნაწილში **გული ბუდეს დაიდვა**“ [სახოკია,1970:108]; **გულმა ყბა გააღო**-„გაუხარდა ნატრითვალას, სიხარულით **გულმა ყბა გააღო**“ [სახოკია,1970:118]; **გულიდან კლიტე აჰგლიჯეს**-„ვერ დაასრულა (გიორგიმ) სათქმელი, სიტყვა შეეკრა, თითქო ელდა ეცაო, რომ **გულიდამ კლიტე აჰგლიჯეს, კარი გაუღეს და შიგ ჩაჰხედეს**“ [სახოკია, 1970:109]; **გულში ისრის გაყრა**-„ამ ყმაწვილს ასეთი ისარი **გაჰყროდა გულში**, რომ იმისი სიმწარე ყველას დაავიწყებდა...“ [სახოკია,1970:121]; **გულში ნათელი ჩაუდგა**-„ტრედს **გულში ნათელი ჩაუდგა**. იმან დაინახა თავისი საყვარელი წყაროც“ [სახოკია,1970:121].

დავასკვნით, იდიომატურ ფრაზეოლოგიზმთა მხოლოდ ერთი, კონკრეტული, ვიწრო ჯგუფის განხილვა ნათლად ასახავს მათ ლექსიკურ-სტილისტურ თავისებურებათა სიმრავლეს. ეს გვადლევს იმის თქმის საშუალებას, რომ იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებში აღბეჭდილია ჩვენი ენის შინაგანი სიმდიდრე და შთამბეჭდავადაა გამოვლენილი მათი შესაძლებლობები, მათი მონაწილეობით მეტყველება კიდევ უფრო ტევადი და დახვეწილი ხდება. ვფიქრობთ, სხვა სახის სომატურ ფრაზეოლოგიზმთა შემდგომი განხილვა კიდევ მეტ საინტერესო თავისებურებას გამოავლენს.

ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი ჯ.,- „დათა თუთაშხია“, თბ., 1979.
2. ენათმეცნიერების საკითხები, N 1. თბ., 1999. ა. ონიანი, ფრაზეოლოგიზმი - სიტყვა-შესიტყვება.
3. ენათმეცნიერების საკითხები, N 1. თბ., 1999. რ. ამირეჯიბი, „სიკვდილის“ სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში.
4. თაყაიშვილი ა., - ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები 1961.
5. ინჯია თ., - იდიომებისა და იდიომატური თქმების ისტორიისათვის XIX – XX საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენაში, თსუ- ის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა XXX სამეცნიერო კონფერენცია.
5. ონიანი ალ., - ქართული იდიომები - თბ., 1968.
6. ორბელიანი სულხან-საბა,- ლექსიკონი ქართული, I თბ. 1991.
7. საენათმეცნიერო ძიებანი თბ. 1983. შ. აფრიდონიძე, იდიომი და იდიომურობა.
8. სახოკია თ., - ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

Manana Kakauridze

Gori, Georgia

e-mail: kakauridzemanana@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.06>

SJIF 2024: 8.268

Some lexical-stylistic peculiarities of somatic-idiomatic phraseology containing

the word “Heart” in Georgian

Abstract

Idiomatic phraseology is considered one of the means of enriching the lexical stock of the language. It increases the power of artistic - aesthetic impact and adds vitality to the language. Here is shown imagination, emotion culture, spirituality, original vision and perception of the world. Because of all this, they gain special weight in the language.

The subject of our interest is phraseology expressing feelings and emotions containing somatisms, among which idiomatic phraseology containing the root “heart” is especially productive. Along with their unifying, common sign, a number of distinguishing features were found: the idiomatic phraseology included in this group can be associated with the expression of opposite connotations. One set of them both in form and content has remained unchanged for centuries, while some of them have faded in meaning and are no longer used at all. Some phraseology containing the root “heart” has lost its former expressiveness due to frequent use. Different literary-artistic methods are used in the phrases of the same group. For example: hyperbolization, gradation tautology, oxymoron, which leads to various literary reminiscences, and in some of them, the use of religious terms or metaphorical imagery becomes the determinant of their expressive intensification.

The nature of the language, to some extent, is determined by the worldview of the nation. Idioms and phraseology describe the world perceived by people figuratively, that is why the inner richness of our language is captured in them and its possibilities are impressively revealed. With their participation, the speech becomes even more interesting, capacious and sophisticated. We think, that the further research of somatic phraseology will reveal even more peculiarities.

რეცენზენტი: პროფესორი მარინა ქაცარავა